აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №13

19/10/2020 წელი **ქ. ბათუმი**
11⁰⁰საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: ნოდარ მელაძე, სოფიო კახაძე, ირაკლი გვარჯალაძე, მარიამ გუგუნავა, ირაკლი გვარამია, კობა გაბაიძე, რამაზ ფირცხალაიშვილი, დავით ჯინჯოლავა და დავით ქარცივაძე.

არ ესწრებოდნენ: ტარიელ გოგიტიძე და კახაბერ ჯაიანი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ;

2. განკარგულება
ბიულეტენების ტექსტის დადგენის შესახებ;

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა.(ა).ი.პ. „რეგიონალური კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ რეგისტრაციის შესახებ;

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთის სახის დადგენის შესახებ;

5. სხვადასხვა.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ;

2. განკარგულება
ბიულეტენების ტექსტის დადგენის შესახებ;

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა.(ა).ი.პ. „რეგიონალური კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ რეგისტრაციის შესახებ;

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთის სახის დადგენის შესახებ.

1. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „ზოგიერთი საარჩევნო საბუთის სახის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „ზოგიერთი საარჩევნო საბუთის სახის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	10;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი:)

მიღებულია განკარგულება

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის შემდეგი საარჩევნო საბუთების სახეები თანდართული ნიმუშების შესაბამისად:

ა) პროპორციული/მაჟორიტარული საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტის თავფურცელი (ფორმა № 2-07.01.02);

ბ) საარჩევნო ბიულეტენი პროპორციული სისტემის არჩევნებისათვის (ფორმა 2-07.02.02);

გ) საარჩევნო ბიულეტენი მაჟორიტარული სისტემის არჩევნებისათვის (ფორმა № 2-07.03.02);

დ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (საოლქო პროპორციული) (ფორმატი A2) (ფორმა №1-07.01.02);

ე) საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (საოლქო მაჟორიტარული) (A2 ფორმატი) (ფორმა №1-07.02.02);

ვ) საოლქო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საოლქო პროპორციული) (ფორმა №1-07.03.02);

ზ) საოლქო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საოლქო მაჟორიტარული) (ფორმა №1-07.04.02);

თ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი (ფორმა №1-07.05.02);

ი) საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების მაჟორიტარულ შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი (ფორმა №1-07.06.02);

კ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (საუბნო პროპორციული) (A2 ფორმატი) (ფორმა №1-07.07.02);

ლ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (საუბნო მაჟორიტარული) (A2 ფორმატი) (ფორმა №1-07.08.02);

მ) საუბნო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საუბნო პროპორციული) (ფორმა №1-07.09.02);

ნ) საუბნო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საუბნო მაჟორიტარული) (ფორმა №1-07.10.02);

ო) საუბნო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი (ფორმა №1-07.11.02);

პ) საუბნო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი (ფორმა №1-07.12.02).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 06 ოქტომბერის №33 განკარგულება „ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

2. განკარგულება
ბიულეტენების ტექსტის დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „ბიულეტენების ტექსტის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „ბიულეტენების ტექსტის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი:)

მიღებულია განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის, პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნების, ბიულეტენის ტექსტი თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

2. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნების, ბიულეტენების ტექსტები თანდართული ნიმუშების შესაბამისად.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა.(ა).ი.პ. „რეგიონალური კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი“ რეგისტრაციის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებლ ორგანიზაციად ა.ა.(ი).პ. „რეგიონალური კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი“ რეგისტრაციის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებლ ორგანიზაციად ა.ა.(ი).პ. „რეგიონალური კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი“ რეგისტრაციის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	10;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი:)

მიღებულია განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 74-ე მუხლის მე-12 პუნქტის და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა.(ა).ი.პ. „რეგონალური კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი“ მიერ 2020 წლის 16 ოქტომბერს წარმოდგენილი განცხადების (უსკოში რეგისტრაციის №01-26/168) საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს და მიენიჭოს დამკვირვებლის სტატუსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებულ ყველა დონის საარჩევნო კომისიაში, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას **ა.(ა).ი.პ. „რეგიონალური კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი“.**

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთის სახის დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნი საბუთის სახის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნი საბუთის სახის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	10;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი:)

მიღებულია განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების ბეჭდვის პროცესზე დამკვირვებლის მოწმობა თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **სოფიო კახაძე**